შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტურობა

შემთხვევის ანალიზი - “ემეგობრე პოლიციას” კამპანიის მაგალითზე

ელენე აფციაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დანელია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023 წ

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე აფციაური

ე.აფციაური

25. 06. 2023 წ

აბსტრაქტი

წარმოდგენილი კვლევა, სახელწოდებით „შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112“-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტურობა,“ მიზნად ისახავს კრიტიკულად გაანალიზოს საქართველოს მოქალაქეების ნდობის დონე სამართალდამცველების მიმართ და გამოიკვლიოს თუ რამდენად ეფექტურად ფუნქციონირებს კამპანია „ემეგობრე პოლიციას.“ კვლევა იყენებს შერეულ მიდგომას - თვისებრივი სოციალური კვლევის მეთოდოლოგიას და შეიცავს ნახევრად სტრუქტურირებულ კითხვარს, რომელიც გვეხმარება მოსახლეობის პოლიციის მიმართ დამოკიდებულებისა და ნდობის შეფასებაში.

კვლევის ნიმუშში მოიცავს საქართველოს რეგიონებიდან, 18-დან 60 წლამდე, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის 300 რესპონდენტს. კვლევა შეიცავს მთელ რიგ ფაქტორებს როგორებიცაა: პოლიციასთან პირად გამოცდილება, ზოგადი დამოკიდებულება პოლიციის მიმართ, ნდობის დეგრადირების გამომწვევი ფაქტორები და კამპანიის „ემეგობრე პოლიციას“ გავლენა. რაოდენობრივი მონაცემები სტატისტიკურად გაანალიზებულია Spearman-ის რანგის კორელაციის კოეფიციენტის, დამოუკიდებელი t-ტესტების, რეგრესიის ანალიზისა და ვარიანტობის ანალიზის (ANOVA) გამოყენებით. გარდა ამისა, კვლევა ფართოდ განიხილავს და ითვალისწინებს ევროპულ გამოცდილებას და სხვა საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა პოლიციის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცებაში. დასკვნები ცხადყოფს, რომ საქართველოს საზოგადოების ნდობა პოლიციისადმი ზომიერია, ყველაზე გავლენიანი ფაქტორები კი კვალიფიკაცია და კომპეტენციაა. კამპანია „ემეგობრე პოლიციას“ გარკვეულწილად ეფექტური აღმოჩნდა, მაგრამ გასაუმჯობესებელი ასპექტები ბევრი გააჩნია. სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს მნიშვნელოვან პოზიტიურ კორელაციას რესპონდენტთა განათლების დონესა და პოლიციისადმი ნდობას შორის. ეს ის ერთ-ერთი მიგნებაა, რომელიც თავიდანვე ჩაფიქრებული არ ყოფილა და კვლევის პროცესსში გამოვლინდა. ასევე რეგრესიული

ანალიზი და ჰიპოთეზის ტესტირება კიდევ უფრო ნათელს ხდის დემოგრაფიულ ფაქტორებსა და ნდობის დონეს შორის კავშირს. კვლევა სრულდება პოლიტიკის რეკომენდაციებით, რომლებიც დაფუძნებულია ან რიცხვობრივ არგუმენტებზე ან საერთაშორისო პრაქტიკებზე.

ეს კვლევა ხელს უწყობს საზოგადოებისა და სამართალდამცველი ორგანოების ნდობის და ურთიერთქმედების შეფასებას, რითაც უზრუნველყოფს პრაქტიკული განხორციელების სამოქმედო გეგმის დასახვას პოლიციასა და საზოგადოებას შორის ჰარმონიული ურთიერთობის ხელშეწყობისთვის. კვლევა ასევე განსაზღვრავს სამომავლო კვლევის სფეროებს, აცნობიერებს პოლიციის ძალის მიმართ საზოგადოების ნდობის შეზღუდვებსა და დინამიკურ ხასიათს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: შინაგან საქმეთა სამინისტრო, ნდობა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი, 112, საზოგადოებასთან ურთიერთობის ეფექტურობა.

Abstract

The presented study, entitled "Effectiveness of Public Relations of Public Safety Management Center "112" of the Ministry of Internal Affairs", aims to critically analyze the level of trust of Georgian citizens towards law enforcement officers and investigate how effectively campaign functions of "Befriend the Police." The study uses a mixed approach - qualitative social research methodology and includes a semi-structured questionnaire that helps us assess the population's attitude and trust in the police.

The research sample includes 300 respondents from the regions of Georgia, aged 18 to 60, of different socio-economic conditions. The research consists of a number of factors such as personal experience with the police, general attitudes towards the police, factors causing the degradation of trust, and the influence of the campaign - "Befriend the Police." Quantitative data were statistically analyzed using Spearman's rank correlation coefficient, independent t-tests, regression analysis, and analysis of variance (ANOVA).

In addition, the study broadly discusses and considers the European experience and other international practices that have successfully strengthened public trust in the police. The findings reveal that the Georgian public's trust in the police is moderate, and the most influential factors are qualification and competence. The "Befriend the Police" campaign has proven to be somewhat effective, but there are many aspects that need to be improved. Statistical analysis shows a significant positive correlation between respondents' education level and their trust in the police. This is one of the conclusions that was not conceived from the beginning and was revealed in the research process. Also, regression analysis and hypothesis testing make the relationship between demographic factors and trust level even clearer. The research concludes with policy recommendations based on numerical arguments or international practices.

This study helps to assess the trust and interaction between the public and law enforcement agencies, thereby providing a practical implementation action plan to promote a harmonious relationship between the police and the public. The study also identifies areas for future research, recognizing the limitations and dynamic nature of public trust in the police force.

Key search words: Ministry of Internal Affairs, Trust, Public Safety Management Center, 112, Public Relations Effectiveness.